თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4373165

ნომერი: AR1659238

თარიღი : 04.02.2019

გაცემის თარიღი : 12.02.2019

გაცნობის თარიღი : 18.02.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლისი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი კუტალია პ/ნ 01008058302
- თბილისი ცხვედაძის 18ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - მრავალ ადგილიანი ავტოსადგომი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 04 თებერვლის #AR1659238 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ლისი, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 72.16.17.569 მიწის ნაკვეთზე მრავალ ადგილიანი ავტოსადგომის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–105 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 72.16.17.569), დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ვრცელდება ზოგადი საცხოვრებელი ზონა, რომლისთვისაც არ არის დადგენილი სამშენებლოდ განვითარების კონკრეტული პარამეტრები. აქედან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის სამშენებლოდ განვითარება უნდა მოხდეს ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ “ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით მუხლი 8–ის (განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავების პრინციპები და შემადგენლობა) მეოთხე პუნქტის მოთხოვნათა დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებით უნდა მოამზადოთ შესაბამისი სრულყოფილი დასაბუთება (იხილეთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტები) საპროექტო მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის კუთხით, რომელსაც განიხილავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი. გამომდინარე აქედან შესაბამისი დოკუმენტაციით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

ამასთანავე საცხოვრებელ ზონაში მსგავსი ფუნქციის ობიექტის მშენებლობა საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, აღნიშნულთან დაკავშირებითაც უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს.

რაც შეეხება ტერიტორიაზე დამატებით შენობის მშენებლობას საჭიროა აღნიშნულის ფუნქციის თაობაზეც დააფიქსიროთ სპეციალური ზონალური შეთანხების სტადიაზე (ამ ეტაპზე არ არის დაფიქსირებული ფუნქცია და სამსახური ვერ მსჯელობს სრულყფილად).

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.